



# სს ელიტ ელექტრონიქსი

წლიური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის  
დასკვნები


2017 წელი

## ზოგადი სარჩევი

|                                                               |    |
|---------------------------------------------------------------|----|
| წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება .....                 | A  |
| 2017 ფინანსური წლის მმართველობითი ანგარიში .....              | i  |
| ფინანსური ანგარიშგება .....                                   | 16 |
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....                          | 20 |
| დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე .....                   | 20 |
| დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე ..... | 22 |

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება

წინამდებარე 2017 წლის წლიური ანგარიში: მმართველობითი ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა), კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სააქციო საზოგადოება ელიტ ელექტრონიქსის ხელმძღვანელობის მიერ:

| თანამდებობა          | სახელი, გვარი, ხელმოწერა                                                                                | თარიღი           |
|----------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|
| გენერალური დირექტორი | ბ.-ნი ლ. ჯობავა       | 18 დეკ., 18 წელი |
| ფინანსური დირექტორი  | ქ.-ნი ნ. მამისაშვილი  | 18 დეკ., 18 წელი |

## 2017 ფინანსური წლის მმართველობითი ანგარიში

---

### სარჩევი

|                                                                          |      |
|--------------------------------------------------------------------------|------|
| ზოგადი ინფორმაცია.....                                                   | ii   |
| ინფორმაცია ბიზნესის შესახებ.....                                         | ii   |
| ბიზნესის განვითარება.....                                                | iii  |
| კონკურენცია.....                                                         | v    |
| სეზონურობა.....                                                          | vi   |
| ბიზნეს მოდელი.....                                                       | vii  |
| ზოგადი გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე ..... | vii  |
| სამომავლო გეგმები .....                                                  | vii  |
| ფინანსური ინფორმაცია .....                                               | viii |
| საბრუნავი კაპიტალი .....                                                 | viii |
| წარმატების კრიტიკული ფაქტორები.....                                      | ix   |
| რისკ-ფაქტორების მიმოხილვა.....                                           | x    |

## ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელიტ ელექტრონიკსი“ დაფუძნდა 2005 წლის 9 ივნისს საქართველოში, კერძო კომპანიის სახით. 2006 წლის 27 დეკემბერს მოხდა მისი შერწყმა შპს „ტექმარკეტსა“ და შპს „ელიტა XXI“-თან. მოგვიანებით, კომპანიამ შეიცვალა სამართლებრივი სტატუსი და 2007 წლის 26 ივლისს იგი გახდა სააქციო საზოგადოება.

კომპანია იმყოფება რეაბილიტაციის პროცესში. ინფორმაცია რეაბილიტაციის შესახებ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უწყისის შემდეგ მუხლებში:

- შენიშვნა 1, ზოგადი ინფორმაცია;
- შენიშვნა 8, რესტრუქტურულიზებული კრედიტორული დავალიანებები;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებით გათვალისწინებული მიმდინარე ვალდებულებები.

კომპანიას არ აქვს უფლება დივიდენდები გაანაწილოს მანამ, სანამ იგი არ დაფარავს რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

2018 წლის აპრილ-მაისში სს „ელიტ ელექტრონიკსმა“ გაასხვისა წილები ასოცირებულ კომპანიებში.

## ინფორმაცია ბიზნესის შესახებ

სს „ელიტ ელექტრონიკსი“ ახორციელებს საქართველოში ელექტრო ტექნიკის იმპორტს და საცალო ქსელებსა და ფრანჩაიზულ მაღაზიებში მათ რეალიზაციას.

კომპანიის პროდუქცია შეიძლება დაიყოს ხუთ ძირითად კატეგორიად:

- მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა - მათ შორის: კონდიციონერები, მაცივრები, სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, გაზქურები, ელექტრო ღუმელები, გამწოვები, საშრობები და სხვა.
- წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა - როგორებიცაა ყავის აპარატები, მიქსერები, ხელის მიქსერები, ტოსტერები, პურის საცხობები, მიკროტალღური ღუმელები, ხორცის საკეპი მანქანები, უთოები, წვესაწურები, ელექტრო ჩაიდნები, ბლენდერები, მტვერსასრუტები, თმის ფენები და ა.შ.
- სამომხმარებლო ტექნიკა - ტელევიზორები, აუდიო სისტემები, სათამაშო კონსოლები და ა.შ.
- კომპიუტერული ტექნიკა - მონიტორები, პერსონალური კომპიუტერები, ნოუტბუქები, პლანშეტური კომპიუტერები, პერსონალური კომპიუტერების პერიფერული მოწყობილობები და ა.შ.
- მობილური ტექნიკა - მობილური ტელეფონები, ციფრული კამერები და მათი აქსესუარები.

ელექტრონული ტექნიკის დიდი ნაწილი გრძელვადიანი მოხმარებისაა (როგორც წესი 5-დან 10 წლამდე, მობილური ტელეფონების და კომპიუტერული ტექნიკის გარდა). თუმცა, ბოლო წლებში დაფიქსირდა აღნიშნული პროდუქციით უფრო ხანმოკლე დროით სარგებლობა. ეს განპირობებულია ფასების შემცირებით და ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული, თანამედროვე დიზაინის მქონე ტექნიკის შეძენის სურვილით. სწორედ აქედან გამომდინარე გაიზარდა ვადაზე ადრე ტექნიკის ჩანაცვლების ტენდენცია. ჩანაცვლება შეიძლება მოხდეს ბუნებრივი ცვლის, ან საცხოვრებლის შეცვლის მიზეზითაც.

კომპანიის ძირითად და ექსკლუზიურ ბრენდებს წარმოადგენენ : BOSCH, SIEMENS, GORENJE, GRAETZ, HITACHI და ALTUS . მათი უმეტესობა წარმოდგენილია მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის კატეგორიაში.

მაღაზიებში წარმოდგენილია ძირითადი ექსკლუზიური ბრენდები:

- მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა – BOSCH, SIEMENS, GORENJE, GRAETZ, HITACHI, ALTUS;
- წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა – BOSCH, SIEMENS, GORENJE, GRAETZ, HITACHI, ALTUS;
- სამომხმარებლო ტექნიკა – GRAETZ;

მაღაზიებში წარმოდგენილია ძირითადი ოფიციალური ბრენდები:

- მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა – SAMSUNG, MIDEA, HYUNDAI, LG, CRON, ARISTON;
- წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა – SAMSUNG, PHILIPS, DELONGHI, BRAUN, KENWOOD, TEFAL, REMINGTON, VALERA;
- სამომხმარებლო ტექნიკა – SAMSUNG, SONY, LG, TOSHIBA;
- კომპიუტერული ტექნიკა – HP, ACER, LENOVO, ASUS, DELL, APPLE, SAMSUNG, MICROLAB, EPSON;
- მობილური ტექნიკა – SAMSUNG, HUAWEI, APPLE, NOKIA, SONY, MOTOROLA, CATERPILAR;

კომპანიის ბიზნესის მიმართულებებია:

- საცალო გაყიდვები;
- სადილერო გაყიდვები;
- კორპორატიული გაყიდვები;


### ბიზნესის განვითარება

ბოლო პერიოდში კომპანიამ შეცვალა თავისი მიდგომა მაღაზიის ფორმატისა და კონცეფციის მიმართ:

- მონობრენდული მაღაზიებიდან მულტიბრენდულ მაღაზიებზე გადასვლა;
- მცირე ზომის მაღაზიების დახურვა და დიდი ზომის მაღაზიების გახსნა;
- ბაზარზე კომპანიის პოზიციონირების ცვლილება, რაც გულისხმობს არამხოლოდ პროდუქციის, არამედ მასთან ერთად გამოცდილების გაყიდვასაც;
- მაღაზიებით ქვეყნის ტერიტორიის სრულად დაფარვა;
- ეფექტური მარკეტინგი;
- ადგილზე მიწოდების სერვისი, გაყიდვის შემდგომი მომსახურება;

დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს „ელიტ ელექტრონიკსის“ 16 მაღაზია და 6 ფრანჩაიზული მაღაზია.

ფრანჩაიზის მქონე დილერები მთლიან პროდუქციას ყიდულობენ „ელიტ ელექტრონიკსისგან“ და შემდეგ თავიანთ მაღაზიებში ყიდიან. იქიდან გამომდინარე, რომ მაღაზია, მომსახურება, გარანტია და ფასები ფრანჩაიზულ მაღაზიებში „ელიტ ელექტრონიკსის“ მაღაზიების ანალოგიურია, მომხმარებლები მათ შორის განსხვავებას ვერ პოულობენ.



სს „ელიტ ელექტრონიკის“ მიერ ოპერირებული მაღაზიები 

ფრანჩიზის მფლობელი დილერების მიერ ოპერირებული მაღაზიები  ;

კომპანიის მაღაზიების მისამართებია:

**თბილისი:**

- დილომი, აღმაშენებლის ხეივანი №2ა;
- თბილისი ცენტრალი, ვაგზ. მოედ. №2;
- სავაჭრო ცენტრი ისთ ფოინთი, თვალჭრელიძის ქ. №2;
- გლდანი, ხიზაბავრის ქ. №1;
- გრატო, ქავთარაძის ქ. №1;

**ბათუმი:**

- ბათუმი, გორგილაძის ქ. №94;
- ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №78/88;

**რეგიონები:**

- ახალციხე, კოსტავას ქ. №39ა;
- რუსთავი, შარტავას მოედანი №4;
- ქუთაისი, გამსახურდიას ქ. №5;
- გორი, გურამიშვილის ქ. №71;
- თელავი, აღმაშენებლის და ალაზნის ქუჩების კვეთა;
- საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. №3;

- ზუგდიდი, კიკალიშვილის ქ. №6;
- ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25;
- ფოთი, რუსთაველის ქ. №22;

ელიტ ელექტრონიკსის ფრანჩაიზული მაღაზიების ლოკაციები:

- ქუთაისი;
- ზესტაფონი;
- სამტრედია;
- ხონი;
- სენაკი;
- ჭიათურა;

### კონკურენცია

ელექტრო ტექნიკის სექტორში წამყვან ძალას წარმოადგენენ კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ როგორც იმპორტის, ასევე საცალო გაყიდვების ბაზარზე. მისთვის დამახასიათებელია ძლიერი კონკურენცია, რასაც განაპირობებს ბაზარზე სხვადასხვა ფასის, ხარისხის მქონე პროდუქტისა და ისეთი კომპანიების არსებობა, რომლებიც იყენებენ საცალო გაყიდვებისა და იმპორტის მსგავს მექანიზმებს. თითოეული მათგანი ეწევა საქართველოში რამოდენიმე ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ბრენდების პროდუქციის (როგორცაა საკუთარი სავაჭრო მარკის მქონე ბრენდები) იმპორტს. ბაზარზე ასევე არსებობენ პატარა კონკურენტები, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობენ ნაკლებად ცნობილ ან უცნობ ბრენდებს.

რაც შეეხება ცნობად ბრენდებს (უმეტესად მობილური ტექნიკის კატეგორიაში), კონკურენცია არსებობს აღნიშნული ბრენდების პარალელური იმპორტის საფუძველზე არაავტორიზებული პირების მიერ. პარალელური იმპორტის არსებობა ზრდის კონკურენციას და ამცირებს მთლიანი მოგების კოეფიციენტს, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ არაავტორიზებული იმპორტიორები არ ხარჯავენ ფულს ბრენდისა და მომსახურების დონის განვითარებაში.

კომპანიის მთავარი კონკურენტები არიან:

- (1) ალტაოქი - შპს „ალტაოქი“ - რითეილერი
- (2) მეტრომარტი - შპს „მეტრომარტ“ - რითეილერი
- (3) არაი თუმოროუ - შპს „ამერიტექი“ - იმპორტიორი და რითეილერი
- (4) მეგატექნიკა - შპს „ომეგა“ - იმპორტიორი და რითეილერი
- (5) ტექნობუმი - შპს „ტექნო ბუმი“ - იმპორტიორი და რითეილერი
- (6) სმაილი - შპს სმაილი“ - იმპორტიორი და რითეილერი
- (7) ბეკო - შპს „ტექნოპაუს“ - იმპორტიორი და რითეილერი

ზემოთ ჩამოთვლილი კონკურენტების გარდა არსებობს რამდენიმე მცირე სიდიდის იმპორტიორი, რომელიც არაბრენდული პროდუქტის შემოტანაზეა კონცენტრირებული.

კომპანიის კონკურენციასთან გამკლავების ძირითადი მეთოდები გულისხმობს ფართო სპექტრის პროდუქციაზე ცვლადი საფასო ორიენტირის შენარჩუნებას, მათ შორის ცნობილ ბრენდებზე; კომპანიის მიერ იმპორტირებული ბრენდების სტატუსის შესანარჩუნებლად რეკლამირებასა და გაყიდვებში ინვესტირებას; მომხმარებლებთან სტრატეგიული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას, ამავდროულად მათთან თანამშრომლობით გაყიდვების სტრატეგიის დანერგვას;

მომხმარებლებთან კონტაქტის შენარჩუნებასა და სამომხმარებლო ბაზრისათვის უწყვეტად თვალის დევნებას, რათა მოხდეს სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა მოთხოვნებში ცვლილებების იდენტიფიცირება და ამ ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირება; მოქნილი ბიზნეს-ფორმატის შექმნის მიზნით ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, რაც კონკურენტული ბაზრის პირობებში ცვლილებების სწრაფად განხორციელების საშუალებას გვამძლევს.

კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: (1) კომპანიის მიერ ბაზარზე წარმოდგენილი ბრენდების სიძლიერე; (2) ფართო სპექტრის პროდუქცია სხვადასხვა საბაზრო სეგმენტში; (3) მენეჯმენტი და გამოცდილი გაყიდვების პერსონალი; (4) ფინანსური მდგრადობა.

ელექტრო ტექნიკის ბაზარზე დიდ ზეგავლენას ახდენს ტექნოლოგიური ინოვაციები, შესაბამისად, იმპორტიორებისა და დისტრიბუტორების მიერ უნდა მოხდეს ახალი და მოწინავე პროდუქციის ხაზის შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავენ ბაზრის წილს. ახალი და მოწინავე პროდუქციის ხაზის შენარჩუნების მიზნით, რომელიც პასუხობს საბაზრო მოთხოვნებს, მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ბაზარზე ინოვაციების მონიტორინგი. ახალი პროდუქციის გავრცელების მიზნით უნდა განხორციელდეს საკონტრაქტო შეთანხმებები, მათ შორის, ახალ მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებთან ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით.

## სეზონურობა

საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკის სექტორისათვის დამახასიათებელია სეზონურობა, რაც გავლენას ახდენს კომპანიის კვარტალურ შედეგებზე. სეზონურობას იწვევს ახალი წლის წინა პერიოდში ტექნიკაზე გაზრდილი მოთხოვნა და გაყიდვები. გარდა ამისა, სეზონურობა ასევე ახასიათებს მაცივრებისა და კონდიციონერების გაყიდვებს ზაფხულობით (2-ე და 3-ე კვარტალი).

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის გაყიდვების კვარტალებად ჩაშლილი შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები, ციფრები მოცემულია ათას ლარში:

| წელი         | 2016    | 2017    | 2016 | 2017 |
|--------------|---------|---------|------|------|
| კვარტალი I   | 23,629  | 28,337  | 15%  | 15%  |
| კვარტალი II  | 34,221  | 39,115  | 22%  | 21%  |
| კვარტალი III | 38,957  | 49,186  | 25%  | 27%  |
| კვარტალი IV  | 61,243  | 68,102  | 39%  | 37%  |
| სულ          | 158,050 | 184,740 | 100% | 100% |

## ბიზნეს მოდელი



## ზოგადი გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე

ძირითადი ფაქტორები მაკროეკონომიკურ გარემოში, რომლებსაც გააჩნიათ ან შეიძლება იქონიონ გავლენა კომპანიის საქმიანობაზე არის:

**ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში** - საქართველოს ეკონომიკა პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე. ქვეყანაში მომხდარმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ქცევაზე და შესაბამისად იმოქმედონ პროდუქციაზე მოთხოვნის დონეზე. როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის რეცესიას, როგორც წესი, კლებულობს მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნა ელექტრო საქონელზე და აქცენტირება გადადის ძირითადი მოხმარების საქონელზე, რაც შედარებით იაფია.

**გაცვლითი კურსის ცვლილება** - კომპანიის ძირითადი ოპერაციები მიმდინარეობს იმპორტირებულ საქონელზე, რომელთა შეძენაც ხდება უცხოურ ვალუტაში (ძირითადად აშშ დოლარში), მაშინ როდესაც ამ საქონლის გაყიდვა მომხმარებლებზე ხდება ლარში. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება გავლენას ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნაზე, რაც შემდგომ აისახება ოპერაციულ შედეგებზე.

**სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება** - შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღება საბანკო განვადებებისგან. ასე რომ, საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი ცვლილება გავლენას ახდენს მოთხოვნაზე. საპროცენტო განაკვეთების კლების შემთხვევაში მოთხოვნა იზრდება და პირიქით.

**ფინანსირების ხელმისაწვდომობა** - საქართველოს ეროვნული ბანკი ამკაცრებს სწრაფი სესხების შესახებ რეგულაციებს და ბანკებს უწესებს შეზღუდვებს მომხმარებელთათვის სესხის გაცემაზე, შემოსავლით უზრუნველყოფის გარეშე.

**კონკურენცია** - იმ ბაზრების უმეტესობას, რომლებშიც კომპანია ოპერირებს, ახასიათებთ მძაფრი კონკურენცია, განსაკუთრებით კი იმპორტიორთა (პარალელური იმპორტიორებისა და მათი რითეილერების ჩათვლით), ისევე როგორც საცალო გაყიდვების წერტილების დიდი რაოდენობით არსებობის გამო.

## სამომავლო გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, ისევე როგორც ელექტრო ტექნიკის ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

სს „ელიტ ელექტრონიკსის“ სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდა;
- ახალი მომხმარებლების მოზიდვა;
- საბაზრო წილის ზრდა;
- ოპერატიული ეფექტურობის ზრდა - ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნება;

- ახალი მიმართულებების განვითარება;
- საკუთარი ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა;

გეგმის ყველა პუნქტი წარმოადგენს ვარაუდს და მოსაზრებებს. შესაძლოა მათი შესრულება ისე ვერ განხორციელდეს, როგორც დაგეგმილია.

### ფინანსური ინფორმაცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის 2015, 2016 და 2017 წლების ფინანსური მონაცემები (ათას ლარში):

| ინფორმაციის ტიპი  | 2017 წელი | 2016 წელი | 2015 წელი |
|-------------------|-----------|-----------|-----------|
| შემოსავალი        | 184,740   | 158,050   | 142,353   |
| ხარჯები           | 29,698    | 27,014    | 25,228    |
| საოპერაციო მოგება | 10,755    | 7,760     | 6,199     |
| მთლიანი აქტივები  | 56,381    | 45,322    | 70,630    |

### საბრუნავი კაპიტალი

ქვემოთ მოცემულია დამატებითი დეტალები საბრუნავი კაპიტალის კომპონენტების შესახებ:

- მარაგები - პროგნოზირებული შეკვეთებიდან გამომდინარე და კომერციულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, კომპანია ახორციელებს პროდუქციის მარაგების შენახვას საწყობებში, სხვადასხვა მოცულობებით. კომპანიის მარაგების ბრუნვის საშუალო ხანგრძლივობამ 2017 წელს შეადგინა დაახლოებით 74 დღე.

ბალანსის უწყისის მიხედვით 2017 წლის ბოლოს მარაგების ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 35 მილიონი ლარი.

- ვალდებულებები - კომპანიას მიმწოდებლებისგან მიღებული აქვს საკრედიტო ლიმიტი და გადახდის პირობები, ხოლო კრედიტორული დავალიანების საბრუნავი პერიოდი დაახლოებით 81 დღეს შეადგენს.
- საოპერაციო მოგება - 2016 წლიდან 2017 წლამდე კომპანიის საოპერაციო მოგება 4.9%-დან 5.8%-მდე გაიზარდა.
- მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი - 2016 წლიდან 2017 წლამდე კომპანიის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0.73-დან 1.0-მდე.
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი - კომპანიის სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი სტაბილურობას ინარჩუნებს, თუმცა ეს არაა რელევანტური აღნიშნული სფეროსათვის, ვინაიდან მარაგი წარმოადგენს ძირითად ლიკვიდურ აქტივს საცალო გაყიდვების ბიზნესში.

## წარმატების კრიტიკული ფაქტორები

არსებობს რამოდენიმე წარმატების კრიტიკული ფაქტორი, რომლებზეც დაფუძნებულია კომპანიის წარმატება. ესენია:

(ა) ბრენდული პროდუქციის იმპორტის უფლებები - პოპულარული ბრენდული საბაზრო პროდუქციის იმპორტირების ექსკლუზიური უფლება. იმის გამო, რომ ბევრი მომხმარებელი ბრენდულ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას, აღნიშნულ სფეროში მოღვაწე ბიზნესების მიერ ხდება სწორედ ბრენდული პროდუქციის გაყიდვა. უმეტესწილად, ბრენდული პროდუქციის ფასი უფრო მაღალია არაბრენდული პროდუქციის ფასზე და სანდო მწარმოებლების ბრენდების ფასი მაღალია სხვა მწარმოებლების მიერ გამოშვებული ანალოგიური პროდუქციის ფასზე. სხვაობა ზოგიერთ ბრენდულ პროდუქციასა და არაბრენდულ პროდუქციას შორის ბოლო რამოდენიმე წელიწადში მნიშვნელოვნად შემცირდა. სანდო მწარმოებლის მიერ მინიჭებული ექსკლუზიური უფლება მის მფლობელს უზრუნველყოფს შედარებით უფრო მეტად სტაბილური მოთხოვნით;

(ბ) სავაჭრო მარკისა და ბრენდის ფლობა - საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის ბრენდირება. საფირმო მარკის ფლობა ამცირებს საერთაშორისო ბრენდების მიმწოდებლებთან საკონტრაქტო გარიგებებზე დამოკიდებულებას;

(გ) მომწოდებლებთან გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება;

(დ) მართვის, კონტროლისა და ლოჯისტიკის სრულფასოვანი სისტემის შენარჩუნება, რომელსაც შეუძლია მართოს, გაუწიოს კოორდინირება და ეფექტური ზედამხედველობა საქონლის იმპორტს, შენახვას, საცალო გაყიდვებსა და დისტრიბუციას;

(ე) ადგილობრივ დონეზე არსებული ყველა ტიპის პროდუქციაზე საიმედო და ხელმისაწვდომი საგარანტიო მომსახურებების და შეკეთების ორგანიზებული სისტემის მართვა;

(ვ) გრძელვადიანი სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება მომხმარებლებთან და ამ ურთიერთობების შენარჩუნება სამართლიანობის და სანდოობის საფუძველზე;

(ზ) იმ პროდუქციის იმპორტირება და გაყიდვები, რომლებიც მნიშვნელოვან, ტექნოლოგიურად ინოვაციურ პროდუქციას წარმოადგენენ - მომხმარებლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, განსაკუთრებით ინოვაციურ მოწყობილობებს. ტექნოლოგიური ინოვაციები გამოიყენება საყოფაცხოვრებო და ელექტრო ტექნიკის გაყიდვების გასაზრდელად;

(თ) პროდუქციისა და მოდელების ასორტიმენტი - მომხმარებელთათვის ფართო ნომენკლატურის პროდუქციის შეთავაზება ცვლად ფასად, მათ შორის ცნობილი, სანდო მწარმოებლების, ისევე როგორც ნაკლებად ცნობილი მწარმოებლების ბრენდირებული ან არაბრენდირებული პროდუქციის შეთავაზება. ამავდროულად პროდუქციის ხელმისაწვდომობის მაღალ დონეზე შენარჩუნება და მომხმარებელთა მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება;

(ი) ბრენდის სიძლიერე (საკუთარი სავაჭრო ნიშნის ჩათვლით) - პროდუქციის ვიზუალური მხარე და მისი დიზაინი ძლიერ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ მისი შეძენის გადაწყვეტილებაზე და შესაბამისად, ფულის დახარჯვა პროდუქტის იმიჯში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მისი რეკლამირება და მიმოხილველი დიზაინის შექმნა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი გაყიდვებისათვის;

(კ) ფინანსური მდგრადობა - ელექტრო ტექნიკის სექტორი საჭიროებს დიდი რაოდენობით საბრუნავ კაპიტალს. ფინანსური მდგრადობა მნიშვნელოვანია იმპორტისა და მარაგების შევსებისთვის, რაც თავის მხრივ საჭიროა ცვლადი მოთხოვნების პირობებში მომხმარებლისათვის ამა თუ იმ პროდუქციის მისაწოდებლად;

(ლ) დაფარვა ქვეყნის მასშტაბით - იყოს წარმოდგენილი ყველა დიდ ქალაქსა და რეგიონულ ცენტრში. ლოკაციების შენარჩუნება ბუნებრივად მაღალი დენადობით.

## რისკ-ფაქტორების მიმოხილვა

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულია გარე რისკებთან, რომელთა რაოდენობის დადგენაც შეუძლებელია და რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ კომპანიის ოპერაციებზე მატერიალური კუთხით. ეს რისკები მოყვანილია ქვემოთ:

| კომპანიის წინაშე მდგარი რისკები                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|-----------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სახელშეკრულებო შეთანხმებება მომწოდებლებთან - ბრენდებზე დამოკიდებულება | სახელშეკრულებო შეთანხმებები ზოგიერთ მომწოდებელთან, რომლებიდანაც კომპანია ახდენს პროდუქციის იმპორტს, მთავარი მომწოდებლების ჩათვლით, რაც არაა ასახული ხელშეკრულებაში წერილობითი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის საქმიანი ურთიერთობები კონკრეტულ მომწოდებლებთან შეიძლება იყოს კარგი, მწარმოებლებმა შესაძლოა გადაწყვიტონ კომპანიასთან ზოგიერთი ან ყველა სახელშეკრულებო შეთანხმების გაწყვეტა. მომწოდებლის მიერ ყველა ან ზოგიერთი სახელშეკრულებო შეთანხმების გაწყვეტამ შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის გაყიდვებსა და ოპერაციულ შედეგებზე. |
| მატერიალური ზიანი ბრენდის რეპუტაციაზე                                 | ვინაიდან კომპანია წარმოადგენს ძლიერ მოთამაშეს აღნიშნულ სექტორში, საცალო ან/და კომპანიის ბრენდთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა ზიანმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის შედეგებზე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| ფასთწარმოქმნა და მარაგების შესყიდვა                                   | შეცდომები ფასთწარმოქმნაში - პროდუქციის არასწორმა ფასთწარმოქმნამ („გაზრდა“ / “შემცირება“) შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს შედეგებზე. არასწორმა ფასთწარმოქმნამ შესაძლოა მყისიერად იმოქმედოს გაყიდვებზე, რენტაბელობაზე და ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიის რეპუტაციაზეც კი.<br><br>შესყიდვის პირობები - შესყიდვის განხორციელება არასტაბილურ საბაზრო პირობებში.                                                                                                                                                             |

| დარგობრივი რისკები                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კონკურენცია                        | <p>აღნიშნულ სფეროში არსებული მძაფრი და უწყვეტი კონკურენცია შესაძლოა უარყოფითად აისახოს ფასებზე და აქედან გამომდინარე კომპანიის რენტაბელობაზეც.</p> <p>ბაზარზე საერთაშორისო მოთამაშის შემოსვლა, რომელსაც შეუძლია სეგმენტის დაკავება და საფასო ომის დაწყება, რაც ხელს შეუშლის რენტაბელობას.</p>                                                                                                                                                                                                           |
| პარალელური იმპორტი                 | <p>კომპანია მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში ელექტრო საქონლის სფეროში პარალელური იმპორტი გაიზარდა. პარალელური იმპორტის ფარგლებში, პროდუქცია ძირითადად იყიდება იმაზე დაბალ ფასად, რა ფასშიც მათ ოფიციალური იმპორტიორები ყიდიან და სარგებლობენ ოფიციალური იმპორტიორის მარკეტინგული კამპანიითა და რეპუტაციით. კომპანიის ან კონკურენტის მიერ განხორციელებულმა პარალელურმა იმპორტმა შესაძლოა დააგდოს საქონლის გასაყიდი ფასები, შეამციროს კომპანიის გაყიდვათა მოცულობა და აზარალოს მისი რენტაბელობა და შედეგები.</p> |
| პროდუქციის ტექნიკური გაუმართაობა   | <p>კომპანიის მიერ იმპორტირებული პროდუქციის დაგეგმვის ან/და წარმოების ტექნიკურმა ხარვეზმა შესაძლოა გავლენა იქონიოს მომხმარებელთათვის მიწოდებულ მთელ რიგ პროდუქციაზე. ამან შეიძლება გაზარდოს კომპანიის მიერ გარანტიაზე და შეკეთებაზე გაწეული ხარჯები და დააზიაროს კომპანიის, ისევე როგორც მის მიერ იმპორტირებული ბრენდისა და საქონლის რეპუტაციას.</p>                                                                                                                                                     |
| პრობლემები მარაგებთან დაკავშირებით | <p>მარაგების შესყიდვა დამოკიდებულია გაყიდვების მიზნებზე; შეკვეთებში არსებულმა შეცდომებმა შესაძლოა გამოიწვიოს მარაგების სიჭარბე (ჭარბი ხარჯები) ან მარაგების სიმწირე (შემოსავლის დაკარგვა).</p> <p>გადაზიდვასთან დაკავშირებული პრობლემა - აღნიშნული დარგი დამოკიდებულია მომწოდებლიდან მარაგების ტრანსპორტირებაზე. ხარისხის, რაოდენობისა და გრაფიკის კუთხით გადამზიდავზე დამოკიდებულება.</p> <p>მარაგების დეფიციტი - დარგი დამოკიდებულია მომწოდებლებზე. მომწოდებლის მიზეზით შექმნილმა მარაგების</p>       |

|                                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|----------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                    | დეფიციტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე.                                                                                                                                                                                                       |
| <b>ბაზარი და ბიზნესი მომხმარებლებისათვის (B2C)</b> | <p>B2C სეგმენტზე დამოკიდებულება - ბიზნესი დამოკიდებულია B2C სეგმენტზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდაზე.</p> <p>ბაზრის პირობების და ტენდეციების დაგვიანებით/შეცდომით გაკეთებული ანალიზი გამოიწვევს ბიზნესის შედეგებზე ზიანის მიყენებას.</p> |
| <b>რისკები მარეგულირებლების მხრიდან</b>            | საქართველოს ეროვნული ბანკი და საკანონმდებლო შეზღუდვები - რეგულაციების ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი (ან დადებითი) გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე.                                                                                                                                 |

| <b>მაკროეკონომიკური რისკები</b>                                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
|------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ფინანსური რისკები</b>                                                           | ფინანსურ რისკებში შეიძლება შედიოდეს: ლარის გაცვლითი კურსის რყევა დოლარისა და ევროს მიმართ, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაციის ზემოქმედება და ა.შ.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <b>ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში</b>                                        | კომპანიის რენტაბელობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის რეგულაციებმა, ისევე როგორც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ და განვითარების პოლიტიკამ. კომპანიის გაყიდვებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის შენელებამ. მოსახლეობის შემცირება - ბოლო წლებში ფიქსირდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება (4.5 მილიონიდან 3.7 მილიონამდე), შესაბამისად, გადაანგარიშების შედეგად გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე. სამომავლოდ, მოსახლეობის შემცირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. |
| <b>გარე ფინანსირების მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომობა - შეზღუდვა ფინანსების</b> | ამჟამად, კომპანიის კლიენტთა უმეტესობა შესყიდვებს ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მეშვეობით ახორციელებს. კლიენტთა ფინანსირების შეზღუდვის                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |

| მაკროეკონომიკური რისკები               |                                                                                                                                                                                                        |
|----------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                        | შემთხვევაში კომპანიის გაყიდვების მოცულობა რისკის ქვეშ დადგება.                                                                                                                                         |
| გადაზიდვების ინდუსტრია                 | კომპანიის შედეგებზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ტარიფების ან/და საწვავის ფასების მატების შედეგად გადაზიდვების გაზრდილმა ხარჯებმა, ისევე როგორც პორტის გაფიცვებმა.                                     |
| გადასახადები და სამთავრობო ინტერვენცია | ეროვნული და მუნიციპალური გადასახადების ცვლილების შედეგად შესაძლოა მოიშალოს კომპანიის რენტაბელობა. გარკვეულწილად, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მოგებაზე და მოთხოვნაზე მომხმარებელთა მხრიდან. |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია რისკ ფაქტორები, მათი ბუნებისა და რანჟირების მიხედვით, რაც ეფუძნება კომპანიის მიერ მის საქმიანობაზე მათი ზეგავლენის შეფასებას:

| რისკ ფაქტორები                                                        | კომპანიის ოპერაციებზე რისკ ფაქტორების ზგავლენის ხარისხი |         |       |
|-----------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|---------|-------|
|                                                                       | დიდი                                                    | ზომიერი | მცირე |
| <b>კომპანიის წინაშე მდგარი რისკები</b>                                |                                                         |         |       |
| სახელშეკრულებო შეთანხმებება მომწოდებლებთან - ბრენდებზე დამოკიდებულება | X                                                       |         |       |
| მატერიალური ზარალი ბრენდის საცალო გაყიდვებზე                          | X                                                       |         |       |
| ფასთწარმოქმნა და მარაგების შესყიდვა                                   |                                                         | X       |       |
| <b>დარგობრივი რისკები</b>                                             |                                                         |         |       |
| კონკურენცია                                                           | X                                                       |         |       |
| პარალელური იმპორტი                                                    |                                                         | X       |       |
| პროდუქციის ტექნიკური გაუმართაობა                                      |                                                         |         | X     |
| პრობლემები მარაგებთან დაკავშირებით                                    | X                                                       |         |       |
| ბაზარი და ბიზნესი მომხმარებლებისათვის (B2C)                           | X                                                       |         |       |
| რისკები მარეგულირებლების მხრიდან                                      | X                                                       |         |       |

| რისკ ფაქტორები                                                              | კომპანიის ოპერაციებზე რისკ ფაქტორების ზგავლენის ხარისხი |         |       |
|-----------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|---------|-------|
|                                                                             | დიდი                                                    | ზომიერი | მცირე |
| <b>მაკროეკონომიკური რისკები</b>                                             |                                                         |         |       |
| ფინანსური რისკები                                                           | X                                                       |         |       |
| ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში                                        | X                                                       |         |       |
| გარე ფინანსირების შეზღუდვა მომხმარებლებისათვის - ფინანსების ხელმისაწვდომობა | X                                                       |         |       |
| გადაზიდვების ინდუსტრია                                                      |                                                         |         | X     |
| გადასახადები და სამთავრობო ინტერვენცია                                      |                                                         | X       |       |

ქართული ეროვნული ვალუტის მიმდინარე გაუფასურებამ აშშ დოლარისა და ევროს მიმართ კომპანიის წინაშე არსებული რისკები კიდევ უფრო გაამწვავა. ფინანსური რისკების ჰეჯირების მიზნით კომპანია იყენებს ნაღდი ფულით უზრუნველყოფილ სესხებს.

სს ელიტ ელექტრონიკსი  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა,  
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური  
ფინანსური ანგარიშგება  
31 დეკემბერი, 2017 წელი

ჯაიოთ  
ჯაქთრონიკსი



ELIT  
ELECTRONICS

იყუანე წიგნ >

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                                                    |    |
|------------------------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....                                               | 20 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                                            | 23 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                                                  | 24 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....                                       | 25 |
| საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....                                    | 26 |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....                                                | 27 |
| შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                | 27 |
| შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....                 | 27 |
| შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებული.....                              | 36 |
| შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები.....                                           | 37 |
| შენიშვნა 5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....                                 | 38 |
| შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....                            | 38 |
| შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....                             | 38 |
| შენიშვნა 8. რესტრუქტურული ზირებული ვალდებულებები.....                              | 38 |
| შენიშვნა 9. საბანკო სესხები.....                                                   | 39 |
| შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება .....                         | 39 |
| შენიშვნა 11. შემოსავალი.....                                                       | 39 |
| შენიშვნა 12. სავაჭრო, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....                       | 39 |
| შენიშვნა 13. ფინანსური ხარჯები, ნეტო .....                                         | 40 |
| შენიშვნა 14. მოგების გადასახადი.....                                               | 40 |
| შენიშვნა 15. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში .....    | 40 |
| შენიშვნა 16. ფინანსური რისკის მართვა .....                                         | 40 |
| შენიშვნა 17. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით ... | 43 |
| შენიშვნა 18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....                      | 44 |
| შენიშვნა 19. დაკავშირებული მხარეები.....                                           | 44 |
| შენიშვნა 20. განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები.....                      | 45 |
| შენიშვნა 21. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები .....                             | 45 |
| შენიშვნა 22. დამატებითი ინფორმაცია .....                                           | 45 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ელიტ ელექტრონიკის-ის აქციონერებს:

### დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

#### მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ სს ელიტ ელექტრონიკის (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების (გვ. 23 - 45) აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავენ კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკონტროლავს წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებათა ერთად (იხილეთ გვ. i - xiv), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ

მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

#### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები

ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. i - xiv) მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

18 დეკემბერი, 2018 წელი

თბილისი, საქართველო

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

|                                                       | კონსოლიდირებული |                 | ინდივიდუალური  |                 |
|-------------------------------------------------------|-----------------|-----------------|----------------|-----------------|
|                                                       | 31-12-17        | 31-12-16        | 31-12-17       | 31-12-16        |
| <b>აქტივები</b>                                       |                 |                 |                |                 |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                          |                 |                 |                |                 |
| ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)                     | 5,182           | 5,509           | 5,181          | 5,509           |
| არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)                  | 520             | 261             | 520            | 261             |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                      | <b>5,702</b>    | <b>5,770</b>    | <b>5,701</b>   | <b>5,770</b>    |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                          |                 |                 |                |                 |
| მარაგები (შენიშვნა 5)                                 | 34,966          | 23,357          | 34,948         | 23,338          |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 6)   | 8,345           | 6,706           | 8,290          | 6,701           |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 7)    | 7,368           | 9,489           | 7,361          | 9,479           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                      | <b>50,679</b>   | <b>39,552</b>   | <b>50,599</b>  | <b>39,518</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                                   | <b>56,381</b>   | <b>45,322</b>   | <b>56,300</b>  | <b>45,288</b>   |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>             |                 |                 |                |                 |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                              |                 |                 |                |                 |
| სააქციო კაპიტალი                                      | 9,567           | 9,567           | 9,567          | 9,567           |
| გაუნაწილებელი მოგება                                  | (15,290)        | (25,076)        | (15,447)       | (25,238)        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                          | <b>(5,723)</b>  | <b>(15,509)</b> | <b>(5,880)</b> | <b>(15,671)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                     |                 |                 |                |                 |
| რესტრუქტურულიზირებული ვალდებულებები (შენიშვნა 8)      | 11,577          | 5,578           | 11,577         | 5,578           |
| საბანკო სესხები (შენიშვნა 9)                          | -               | 708             | -              | 708             |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                 | <b>11,577</b>   | <b>6,286</b>    | <b>11,577</b>  | <b>6,286</b>    |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                     |                 |                 |                |                 |
| საბანკო სესხები (შენიშვნა 9)                          | 846             | 2,794           | 846            | 2,794           |
| რესტრუქტურულიზირებული ვალდებულებები (შენიშვნა 8)      | 6,142           | 14,302          | 6,142          | 14,302          |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 10) | 43,539          | 37,449          | 43,615         | 37,577          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                 | <b>50,527</b>   | <b>54,545</b>   | <b>50,603</b>  | <b>54,673</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>         | <b>56,381</b>   | <b>45,322</b>   | <b>56,300</b>  | <b>45,288</b>   |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნი ლ. ჯობავა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                                       | კონსოლიდირებული |                 | ინდივიდუალური  |                 |
|-------------------------------------------------------|-----------------|-----------------|----------------|-----------------|
|                                                       | 31-12-17        | 31-12-16        | 31-12-17       | 31-12-16        |
| <b>აქტივები</b>                                       |                 |                 |                |                 |
| <i>გრძელვადიანი აქტივები</i>                          |                 |                 |                |                 |
| ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)                     | 5,182           | 5,509           | 5,181          | 5,509           |
| არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)                  | 520             | 261             | 520            | 261             |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                      | <b>5,702</b>    | <b>5,770</b>    | <b>5,701</b>   | <b>5,770</b>    |
| <i>მოკლევადიანი აქტივები</i>                          |                 |                 |                |                 |
| მარაგები (შენიშვნა 5)                                 | 34,966          | 23,357          | 34,948         | 23,338          |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 6)   | 8,345           | 6,706           | 8,290          | 6,701           |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 7)    | 7,368           | 9,489           | 7,361          | 9,479           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                      | <b>50,679</b>   | <b>39,552</b>   | <b>50,599</b>  | <b>39,518</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                                   | <b>56,381</b>   | <b>45,322</b>   | <b>56,300</b>  | <b>45,288</b>   |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>             |                 |                 |                |                 |
| <i>საკუთარი კაპიტალი</i>                              |                 |                 |                |                 |
| სააქციო კაპიტალი                                      | 9,567           | 9,567           | 9,567          | 9,567           |
| გაუნაწილებელი მოგება                                  | (15,290)        | (25,076)        | (15,447)       | (25,238)        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                          | <b>(5,723)</b>  | <b>(15,509)</b> | <b>(5,880)</b> | <b>(15,671)</b> |
| <i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>                     |                 |                 |                |                 |
| რესტრუქტურირებული ვალდებულებები (შენიშვნა 8)          | 11,577          | 5,578           | 11,577         | 5,578           |
| საბანკო სესხები (შენიშვნა 9)                          | -               | 708             | -              | 708             |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                 | <b>11,577</b>   | <b>6,286</b>    | <b>11,577</b>  | <b>6,286</b>    |
| <i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>                     |                 |                 |                |                 |
| საბანკო სესხები (შენიშვნა 9)                          | 846             | 2,794           | 846            | 2,794           |
| რესტრუქტურირებული ვალდებულებები (შენიშვნა 8)          | 6,142           | 14,302          | 6,142          | 14,302          |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 10) | 43,539          | 37,449          | 43,615         | 37,577          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                 | <b>50,527</b>   | <b>54,545</b>   | <b>50,603</b>  | <b>54,673</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>         | <b>56,381</b>   | <b>45,322</b>   | <b>56,300</b>  | <b>45,288</b>   |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნი ლ. ჯობავა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                                             | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|-------------------------------------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                                             | 2017 წელი       | 2016 წელი     | 2017 წელი     | 2016 წელი     |
| ამონაგები (შენიშვნა 11)                                     | 184,740         | 158,050       | 184,730       | 158,038       |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება                            | (144,287)       | (123,276)     | (144,287)     | (123,276)     |
| <b>საერთო მოგება</b>                                        | <b>40,453</b>   | <b>34,774</b> | <b>40,443</b> | <b>34,762</b> |
| გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 12) | (28,974)        | (26,745)      | (28,961)      | (26,729)      |
| სხვა სარგებელი, ნეტო                                        | 90              | 198           | 93            | 172           |
| ნეტო ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 13)                          | (1,783)         | (1,076)       | (1,784)       | (1,076)       |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>                                    | <b>9,786</b>    | <b>7,151</b>  | <b>9,791</b>  | <b>7,129</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი (შენიშვნა 14)                     | -               | (1,121)       | -             | (1,121)       |
| <b>სუფთა მოგება</b>                                         | <b>9,786</b>    | <b>6,030</b>  | <b>9,791</b>  | <b>6,008</b>  |
| სხვა სრული შემოსავალი (ხარჯი)                               | -               | -             | -             | -             |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>                                 | <b>9,786</b>    | <b>6,030</b>  | <b>9,791</b>  | <b>6,008</b>  |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნი ლ. ჯობავა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                                            | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|------------------------------------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                                            | 2017 წელი       | 2016 წელი     | 2017 წელი     | 2016 წელი     |
| ამონაგები (შენიშვნა 11)                                    | 184,740         | 158,050       | 184,730       | 158,038       |
| გაცივებული საქონლის თვითღირებულება                         | (144,287)       | (123,276)     | (144,287)     | (123,276)     |
| <b>საერთო მოგება</b>                                       | <b>40,453</b>   | <b>34,774</b> | <b>40,443</b> | <b>34,762</b> |
| გაცივების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 12) | (28,974)        | (26,745)      | (28,961)      | (26,729)      |
| სხვა სარგებელი, ნეტო                                       | 90              | 198           | 93            | 172           |
| ნეტო ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 13)                         | (1,783)         | (1,076)       | (1,784)       | (1,076)       |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                  | <b>9,786</b>    | <b>7,151</b>  | <b>9,791</b>  | <b>7,129</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი (შენიშვნა 14)                    | -               | (1,121)       | -             | (1,121)       |
| <b>სუფთა მოგება</b>                                        | <b>9,786</b>    | <b>6,030</b>  | <b>9,791</b>  | <b>6,008</b>  |
| სხვა სრული შემოსავალი (ხარჯი)                              | -               | -             | -             | -             |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>                                | <b>9,786</b>    | <b>6,030</b>  | <b>9,791</b>  | <b>6,008</b>  |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნი ლ. ჯობავა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

|                                                               | კონსოლიდირებული |                 | ინდივიდუალური  |                 |
|---------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|----------------|-----------------|
|                                                               | 2017 წელი       | 2016 წელი       | 2017 წელი      | 2016 წელი       |
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან</b>     |                 |                 |                |                 |
| მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები                     | 219,753         | 190,346         | 219,757        | 190,346         |
| მომწოდებლებსა და მომუშავეებზე პირებზე გადახდილი ფული          | (214,589)       | (176,991)       | (214,590)      | (176,475)       |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა</b>     | <b>5,164</b>    | <b>13,355</b>   | <b>5,167</b>   | <b>13,871</b>   |
| გადახდილი პროცენტი                                            | (1,870)         | (2,095)         | (1,870)        | (2,095)         |
| <b>საოპერაციო საქმიანობით მიღებული ფული</b>                   | <b>3,294</b>    | <b>11,260</b>   | <b>3,297</b>   | <b>11,776</b>   |
| <b>ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან</b>     |                 |                 |                |                 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                  | (1,800)         | (2,929)         | (1,800)        | (2,929)         |
| <b>საინვესტიციო საქმიანობისათვის გახარჯული ფული</b>           | <b>(1,800)</b>  | <b>(2,929)</b>  | <b>(1,800)</b> | <b>(2,929)</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 15)</b>  |                 |                 |                |                 |
| სესხის სახით მიღებული თანხები                                 | 14,467          | 34,155          | 14,467         | 34,155          |
| სესხების გადახდა                                              | (16,888)        | (68,499)        | (16,888)       | (68,499)        |
| რესტრუქტურირებული ვალის დაფარვა                               | (1,460)         | (984)           | (1,460)        | (984)           |
| <b>საფინანსო საქმიანობისათვის გახარჯული ფული</b>              | <b>(3,881)</b>  | <b>(35,328)</b> | <b>(3,881)</b> | <b>(35,328)</b> |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო შემცირება</b> | <b>(2,387)</b>  | <b>(26,997)</b> | <b>(2,384)</b> | <b>(26,481)</b> |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში         | 9,489           | 37,118          | 9,479          | 36,592          |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა                      | 266             | (632)           | 266            | (632)           |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>       | <b>7,368</b>    | <b>9,489</b>    | <b>7,361</b>   | <b>9,479</b>    |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნი ლ. ჯობავა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

|                                                        | კონსოლიდირებული |                 | ინდივიდუალური  |                 |
|--------------------------------------------------------|-----------------|-----------------|----------------|-----------------|
|                                                        | 2017 წელი       | 2016 წელი       | 2017 წელი      | 2016 წელი       |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან     |                 |                 |                |                 |
| მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები              | 219,753         | 190,346         | 219,757        | 190,346         |
| მომწოდებლებსა და მომუშავეებზე პირებზე გადახდილი ფული   | (214,589)       | (176,991)       | (214,590)      | (176,475)       |
| საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა     | 5,164           | 13,355          | 5,167          | 13,871          |
| გადახდილი პროცენტი                                     | (1,870)         | (2,095)         | (1,870)        | (2,095)         |
| საოპერაციო საქმიანობით მიღებული ფული                   | <b>3,294</b>    | <b>11,260</b>   | <b>3,297</b>   | <b>11,776</b>   |
| ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან     |                 |                 |                |                 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                           | (1,800)         | (2,929)         | (1,800)        | (2,929)         |
| საინვესტიციო საქმიანობისათვის გახარჯული ფული           | <b>(1,800)</b>  | <b>(2,929)</b>  | <b>(1,800)</b> | <b>(2,929)</b>  |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 15)  |                 |                 |                |                 |
| სესხის სახით მიღებული თანხები                          | 14,467          | 34,155          | 14,467         | 34,155          |
| სესხების გადახდა                                       | (16,888)        | (68,499)        | (16,888)       | (68,499)        |
| რესტრუქტურირებული ვალის დაფარვა                        | (1,460)         | (984)           | (1,460)        | (984)           |
| საფინანსო საქმიანობისათვის გახარჯული ფული              | <b>(3,881)</b>  | <b>(35,328)</b> | <b>(3,881)</b> | <b>(35,328)</b> |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო შემცირება | (2,387)         | (26,997)        | (2,384)        | (26,481)        |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში  | 9,489           | 37,118          | 9,479          | 36,592          |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა               | 266             | (632)           | 266            | (632)           |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს       | <b>7,368</b>    | <b>9,489</b>    | <b>7,361</b>   | <b>9,479</b>    |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნი ლ. ჯობავა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

**საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

**კონსოლიდირებული**

|                                     | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ             |
|-------------------------------------|------------------|----------------------|-----------------|
| ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს           | 9,567            | (31,106)             | (21,539)        |
| 2016 წლის სრული შემოსავალი          | -                | 6,030                | 6,030           |
| <b>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>9,567</b>     | <b>(25,076)</b>      | <b>(15,509)</b> |
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს           | 9,567            | (25,076)             | (15,509)        |
| 2017 წლის სრული შემოსავალი          | -                | 9,786                | 9,786           |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>9,567</b>     | <b>(15,290)</b>      | <b>(5,723)</b>  |

**ინდივიდუალური**

|                                     | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ             |
|-------------------------------------|------------------|----------------------|-----------------|
| ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს           | 9,567            | (31,246)             | (21,679)        |
| 2016 წლის სრული შემოსავალი          | -                | 6,008                | 6,008           |
| <b>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>9,567</b>     | <b>(25,238)</b>      | <b>(15,671)</b> |
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს           | 9,567            | (25,238)             | (15,671)        |
| 2017 წლის სრული შემოსავალი          | -                | 9,791                | 9,791           |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>9,567</b>     | <b>(15,447)</b>      | <b>(5,880)</b>  |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნი ლ. ჯობავა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

კონსოლიდირებული

|                              | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ      |
|------------------------------|------------------|----------------------|----------|
| ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს    | 9,567            | (31,106)             | (21,539) |
| 2016 წლის სრული შემოსავალი   | -                | 6,030                | 6,030    |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს | 9,567            | (25,076)             | (15,509) |
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს    | 9,567            | (25,076)             | (15,509) |
| 2017 წლის სრული შემოსავალი   | -                | 9,786                | 9,786    |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს | 9,567            | (15,290)             | (5,723)  |

ინდივიდუალური

|                              | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ      |
|------------------------------|------------------|----------------------|----------|
| ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს    | 9,567            | (31,246)             | (21,679) |
| 2016 წლის სრული შემოსავალი   | -                | 6,008                | 6,008    |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს | 9,567            | (25,238)             | (15,671) |
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს    | 9,567            | (25,238)             | (15,671) |
| 2017 წლის სრული შემოსავალი   | -                | 9,791                | 9,791    |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს | 9,567            | (15,447)             | (5,880)  |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2018 წლის 18 დეკემბერს

ბ.-ნილ. ჯოზაგა, გენერალური დირექტორი

ქ.-ნი ნ. მამისაშვილი, ფინანსური დირექტორი

## ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

სს ელიტ ელექტრონიკსი წარმოადგენს საქართველოს სამომხმარებლო ელექტროსაქონლის ბაზარზე უმსხვილეს საცალო სავაჭრო ქსელს. კომპანია ფლობს 16 მაღაზიას (5 თბილისში, 2 ბათუმში და 9 სხვა დასახლებულ პუნქტებში). ამასთანავე, კომპანიას გააჩნია დილერების მიერ ფლობილი 7 ფრანჩიზული მაღაზია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კომპანია ძირითადად ვაჭრობს მსხვილი და წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკით, მობილური ტელეფონებით და კომპიუტერული ტექნიკით ისეთი მწარმოებლებისაგან, როგორებიცაა ბოში, გორენიე, ჰიუნდაი, გრეტეი, კენვუდი, სონი, ჰიტაჩი, სამსუნგი, ჰუავეი, ლენოვო და სხვა.

სს ელიტ ელექტრონიკსში დასაქმებულია 570 ადამიანი. კომპანია ვაჭრობს 50-მდე სხვადასხვა მწარმოებლის 5,000-მდე დასახელების სხვადასხვა საქონლით.

კომპანიის აქციონერები არიან:

| დასახელება             | ფლობის წილი | რეგისტრაციის ადგილი |
|------------------------|-------------|---------------------|
| შპს ბრიშაგ დიჯიტალ ეიჯ | 51 %        | ისრაელი             |
| შპს სი5 ინთეგრეიშენ    | 49 %        | ისრაელი             |

სს ელიტ ელექტრონიკსის მაკონტროლებელი პირია ბატონი შაულ სილბერსტეინი, ისრაელის მოქალაქე.

2009 წლის დეკემბრიდან (ამჟამინდელი აქციონერების მიერ კომპანიის გამოსყიდვამდე) სს ელიტ ელექტრონიკსი, კრედიტორების მოთხოვნითა და სასამართლოს განჩინებით, იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში. რეაბილიტაციის რეჟიმი იმართება სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველით, რომელიც კომპანიის დირექტორთან ერთად ზედამხედველობს რეაბილიტაციის გეგმით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. სს ელიტ ელექტრონიკსის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საქმიანობის იმგვარად წარმართვაზე, რომ უზრუნველყოს რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული სახდელების დროული გასტუმრება. რეაბილიტაციის რეჟიმის დაგეგმილი დასრულების ვადაა 2022 წელი.

### შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

#### 2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ. კომპანიას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარდა, საქართველოს კანონმდებლობით, ევალება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც ამავე დოკუმენტში არის წარდგენილი. შვილობილი კომპანიის გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობასა და საანგარიშგებო პერიოდის შედეგზე არაარსებითია.

#### 2.2 კონსოლიდაცია

##### (a) კონსოლიდაცია

სს ელიტ ელექტრონიკსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა შემდგომ შვილობილ კომპანიებს:

| შვილობილი         | ფლობის წილი | საქმიანობა                                         | ქვეყანა    |
|-------------------|-------------|----------------------------------------------------|------------|
| შპს ელიტ ტექსტილი | 100 %       | არააქტიური                                         | საქართველო |
| შპს ელიტელი       | 100 %       | სახელმწიფო ორგანიზაციებთან ელექტროსაქონლით ვაჭრობა | საქართველო |

##### (b) მეკავშირე საწარმოები

სს ელიტ ელექტრონიკსის მეკავშირე საწარმოებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდნენ:

| შვილობილი          | ფლობის წილი | საქმიანობა | ქვეყანა    |
|--------------------|-------------|------------|------------|
| შპს ჯეონივსტივია   | 40 %        | არააქტიური | საქართველო |
| შპს კრედიტექსპრესი | 30 %        | არააქტიური | საქართველო |
| შპს ელიტ-ტრანსი    | 40 %        | არააქტიური | საქართველო |

2018 წლის აპრილსა და მაისში განხორციელდა ამ მეკავშირე საწარმოებში წილების სრული გასხვისება.

### 2.3 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

(a) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი და 1 ევრო = 3.1044 (2016 წელი: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი და 1 ევრო = 2.794 ლარი).

(b) ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

### 2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

| სასარგებლო მომსახურების ვადა        |       |
|-------------------------------------|-------|
| შენობა-ნაგებობანი                   | 20    |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5, 7  |
| ავტომობილები                        | 5, 8  |
| ავეჯი და აღჭურვილობა                | 5, 13 |

### 2.5 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული ისტორიული ღირებულებით.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 7 წლის გაანგარიშებით.

## 2.6 მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირების დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

## 2.7 სავაჭრო დებიტორები

სავაჭრო დებიტორები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

## 2.8 ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

## 2.9 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

## 2.10 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

## 2.11 რესტრუქტურიზებული ვალდებულებები

რესტრუქტურიზებული ვალდებულებები რეაბილიტაციის გეგმით სასამართლოს მიერ კომპანიისათვის დაკისრებული სახდელებია.

## 2.12 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეცების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი ვადის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

## 2.13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

## 2.14 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

სპეციფიკური აღიარების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

#### საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაცია აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ზოგადად, ეს ფაქტი კომპანიის შემთხვევაში დგება საქონლის გადატვირთვასთან ერთად.

#### საპროცენტო შემოსავლები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე

#### 2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

#### 2.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

#### 2.17 დაბეგვრა

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის კომპანიაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ანულირებულია.

## 2.18 ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით". რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის კომპანიამ შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს გაქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე "გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლალებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების

მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

## 2.19 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ფინანსურ აქტივები იყოფა სესხების და მოთხოვნების შეფასების კატეგორიებად. სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნია ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადასახდელები გარდა იმისა, რომლებიც არ არის კვოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი აისახება მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. ამ უკანასკნელის კლასიფიკაცია ხდება გრძელვადიან აქტივებად.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც 'სხვა ფინანსური ვალდებულებები' და მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

## 2.20 ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობის ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის 'ჩვეულებრივი გზა') დადგენილ ვადებში, აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

## 2.21 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივა ამოიწურა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი 'გავლითი შეთანხმება', ხოლო ამავე დროს (ი) ასევე გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (იი) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებელი, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

## 2.22 ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად ("ზარალის განმაპირობელი მოვლენები"), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, კომპანია ამ აქტივს მიაკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს კომპანია, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულდება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა.

## 2.23 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

**საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.** კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

**პირობითი ვალდებულება - საგადასახადო დავა.** კომპანიას გააჩნია მინდინარე დავა შემოსავლების სამსახურთან. ვინაიდან, დავის საგანს წარმოადგენს როგორც საგადასახადო ვალდებულების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები, ასევე, ოდენობა და ანგარიშსწორების დრო, ამასთანავე, შენიშვნა 20-ში აღწერილი გარემოებების გამო, არ არის მოსალოდნელი კომპანიიდან ამ საგადასახადო ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური რესურსების გადინება, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს პირობით ვალდებულებას და შესაბამისად არ არის აღიარებული ანარიცხი.

## 2.24 საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში ცვლილებები ბასს 12-ში, მოგების გადასახადი

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, „მოგების გადასახადი“. ამ განახლების მიზანია განსაზღვროს თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზლუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით.

- კომპანიამ უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლისგანაც შეუძლიათ შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შეტრუნება. თუ საგადასახადო არ შემოღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ კომპანიას შეეძლება ეს დროებითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებითი გამოსაქვითი სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტური იქნება 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული გადასახადების აღიარება აღარ მოხდება, რადგან აღარ იარსებებს ის ფაქტორები რაც გადავადებულ გადასახადებს წარმოშობდა.

#### **ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში**

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ ცვლილებები შევიდა „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

#### **2.25 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგული**

*ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"*

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის "ფინანსური ინსტრუმენტები" ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მოქმედებს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შესადარისი ინფორმაცია სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები ზოგადად პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული ლიმიტირებული გამონაკლისებით.

*ფასს (IFRS) 15 "შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან"*

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. „კომპანია“ აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის სრული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით.

*ფასს (IFRS) 16 იჯარა*

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულებები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან

ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

*ცვლილებები ფასს 2-ში წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების კლასიფიკაცია და გაზომვა*

ცვლილებები სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან. მათი მიზანია სტანდარტში არსებული ზოგიერთი პრინციპისა და სააღრიცხვო მიდგომის განმარტება.

*გაუმჯობესებათა 2014-2016 წლების ციკლი*

აღნიშნული ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 1 - არსებული მოკლევადიანი შეღავათები ფასს 7, ბასს 19 და ფასს 10-ის გარდამავალი მუხლებისათვის გაუქმებულია (არა-აქტუალობის გამო);
- ბასს 28 - განმარტებულია, რომ ერთობლივმა საწარმოებმა, ფონდებმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით ასახვის არჩევანი უნდა განახორციელონ ინდივიდუალურად თითოეული ორგანიზაციისათვის თავდაპირველი აღიარებისას.

*ცვლილებები ბასს 40-ში*

ცვლილებები განმარტავენ, რომ საინვესტიციო ქონებაში აქტივის შეტანა ან გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტივის გამოყენების დადასტურებული ცვლილებების შემთხვევაში. გამოყენების ცვლილებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვა, აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მტკიცებულება აქტივის კლასიფიკაციის მიზნებისათვის. ცვლილებები ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან და მათი დანერგვა, გარკვეული დაშვებებით, შესაზღვრელია როგორც პერსპექტიულად ისე რეტროსპექტიულად.

*ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში*

ცვლილებები ეხება აქტივის მიწოდების ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არ არის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თარიღი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყენება. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

## შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებული

კონსოლიდირებული

|                             | მიწა და შენობა-<br>ნაგებობები | აღჭურვილობა  | საიჯარო<br>ქონების<br>გაუმჯობესება | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ          |
|-----------------------------|-------------------------------|--------------|------------------------------------|-----------------------------|--------------|
| <b>01-იან-2016:</b>         |                               |              |                                    |                             |              |
| ისტორიული ღირებულება        | 220                           | 6,275        | 3,146                              | 392                         | 10,033       |
| დაგროვილი ცვეთა             | (11)                          | (4,244)      | (1,937)                            | (344)                       | (6,536)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>209</b>                    | <b>2,031</b> | <b>1,209</b>                       | <b>48</b>                   | <b>3,497</b> |
| <b>2016 წელი:</b>           |                               |              |                                    |                             |              |
| შეძენები                    | -                             | 2,133        | 1,165                              | -                           | 3,298        |
| გაყიდვები                   | -                             | (65)         | -                                  | -                           | (65)         |
| ცვეთის ხარჯი                | (11)                          | (928)        | (258)                              | (24)                        | (1,221)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>198</b>                    | <b>3,171</b> | <b>2,116</b>                       | <b>24</b>                   | <b>5,509</b> |
| <b>31-დეკ-2016:</b>         |                               |              |                                    |                             |              |
| ისტორიული ღირებულება        | 220                           | 7,963        | 4,311                              | 392                         | 12,886       |
| დაგროვილი ცვეთა             | (22)                          | (4,792)      | (2,195)                            | (368)                       | (7,377)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>198</b>                    | <b>3,171</b> | <b>2,116</b>                       | <b>24</b>                   | <b>5,509</b> |
| <b>2017 წელი:</b>           |                               |              |                                    |                             |              |
| შეძენები                    | 62                            | 928          | 184                                | 137                         | 1,311        |
| გაყიდვები                   | -                             | (96)         | -                                  | -                           | (96)         |
| ცვეთის ხარჯი                | (26)                          | (1,149)      | (329)                              | (38)                        | (1,542)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>234</b>                    | <b>2,854</b> | <b>1,971</b>                       | <b>123</b>                  | <b>5,182</b> |
| <b>31-დეკ-2017:</b>         |                               |              |                                    |                             |              |
| ისტორიული ღირებულება        | 282                           | 8,795        | 4,495                              | 529                         | 14,101       |
| დაგროვილი ცვეთა             | (48)                          | (5,941)      | (2,524)                            | (406)                       | (8,919)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>234</b>                    | <b>2,854</b> | <b>1,971</b>                       | <b>123</b>                  | <b>5,182</b> |

## ძირითადი საშუალებები ინდივიდუალური

ინდივიდუალური

|                             | მიწა და შენობა-<br>ნაგებობები | აღჭურვილობა  | საიჯარო<br>ქონების<br>გაუმჯობესება | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ          |
|-----------------------------|-------------------------------|--------------|------------------------------------|-----------------------------|--------------|
| <b>01-იან-2016:</b>         |                               |              |                                    |                             |              |
| ისტორიული ღირებულება        | 220                           | 6,275        | 3,146                              | 392                         | 10,033       |
| დაგროვილი ცვეთა             | (11)                          | (4,244)      | (1,937)                            | (344)                       | (6,536)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>209</b>                    | <b>2,031</b> | <b>1,209</b>                       | <b>48</b>                   | <b>3,497</b> |
| <b>2016 წელი:</b>           |                               |              |                                    |                             |              |
| შეძენები                    | -                             | 2,133        | 1,165                              | -                           | 3,298        |
| გაყიდვები                   | -                             | (65)         | -                                  | -                           | (65)         |
| ცვეთის ხარჯი                | (11)                          | (928)        | (258)                              | (24)                        | (1,221)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>198</b>                    | <b>3,171</b> | <b>2,116</b>                       | <b>24</b>                   | <b>5,509</b> |

ინდივიდუალური

|                             | მიწა და შენობა-<br>ნაგებობები | აღჭურვილობა  | საიჯარო<br>ქონების<br>გაუმჯობესება | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ          |
|-----------------------------|-------------------------------|--------------|------------------------------------|-----------------------------|--------------|
| <b>31-დეკ-2016:</b>         |                               |              |                                    |                             |              |
| ისტორიული ღირებულება        | 220                           | 7,963        | 4,311                              | 392                         | 12,886       |
| დაგროვილი ცვეთა             | (22)                          | (4,792)      | (2,195)                            | (368)                       | (7,377)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>198</b>                    | <b>3,171</b> | <b>2,116</b>                       | <b>24</b>                   | <b>5,509</b> |
| <b>2017 წელი:</b>           |                               |              |                                    |                             |              |
| შეძენები                    | 62                            | 927          | 184                                | 137                         | 1,310        |
| გაყიდვები                   | -                             | (96)         | -                                  | -                           | (96)         |
| ცვეთის ხარჯი                | (26)                          | (1,149)      | (329)                              | (38)                        | (1,542)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>234</b>                    | <b>2,853</b> | <b>1,971</b>                       | <b>123</b>                  | <b>(328)</b> |
| <b>31-დეკ-2017:</b>         |                               |              |                                    |                             |              |
| ისტორიული ღირებულება        | 282                           | 8,794        | 4,495                              | 529                         | 14,100       |
| დაგროვილი ცვეთა             | (48)                          | (5,941)      | (2,524)                            | (406)                       | (8,919)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>234</b>                    | <b>2,853</b> | <b>1,971</b>                       | <b>123</b>                  | <b>5,181</b> |

შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 247 ლარი (2016: 197 ლარი) დაგირავებულია სს თიბისი ბანკს საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფისათვის.

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები საბალანსო ღირებულებით 341 ლარი (2016: 488 ლარი) დაგირავებულია შემოსავლების სამსახურის მოთხოვნით (შენიშვნა 20).

შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები

| პროგრამული უზრუნველყოფა     | კონს.      | ინდ.       |
|-----------------------------|------------|------------|
| <b>01-იან-2016:</b>         |            |            |
| ისტორიული ღირებულება        | 868        | 868        |
| დაგროვილი ამორტიზაცია       | (566)      | (566)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>302</b> | <b>302</b> |
| <b>2016 წელი:</b>           |            |            |
| შეძენები                    | 24         | 24         |
| ამორტიზაციის ხარჯი          | (65)       | (65)       |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>261</b> | <b>261</b> |
| <b>31-დეკ-2016:</b>         |            |            |
| შეძენები                    | 892        | 892        |
| დაგროვილი ამორტიზაცია       | (631)      | (631)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>261</b> | <b>261</b> |
| <b>2017 წელი:</b>           |            |            |
| შეძენები                    | 346        | 346        |
| ამორტიზაციის ხარჯი          | (87)       | (87)       |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>520</b> | <b>520</b> |
| <b>31-დეკ-2017:</b>         |            |            |
| ისტორიული ღირებულება        | 1,238      | 1,238      |
| დაგროვილი ამორტიზაცია       | (718)      | (718)      |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>520</b> | <b>520</b> |

შენიშვნა 5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

|                                              | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|----------------------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                              | 31-12-17        | 31-12-16      | 31-12-17      | 31-12-16      |
| სავაჭრო მარაგები                             | 34,853          | 24,284        | 34,836        | 24,265        |
| სხვა                                         | 587             | 11            | 586           | 11            |
| გაუფასურების ანარიცხები                      | (474)           | (938)         | (474)         | (938)         |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები</b> | <b>34,966</b>   | <b>23,357</b> | <b>34,948</b> | <b>23,338</b> |

გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა საანგარიშგებო პერიოდში:

|                                         | კონსოლიდირებული |            | ინდივიდუალური |            |
|-----------------------------------------|-----------------|------------|---------------|------------|
|                                         | 2017            | 2016       | 2017          | 2016       |
| გაუფასურების ანარიცხები წლის დასაწყისში | 938             | 409        | 938           | 409        |
| გაუფასურებული ფასეულობების გაყიდვა      | (1,371)         | (717)      | (1,371)       | (717)      |
| მიმდინარე პერიოდის გაუფასურება          | 907             | 1,246      | 907           | 1,246      |
| <b>გაუფასურების რეზერვი წლის ბოლოს</b>  | <b>474</b>      | <b>938</b> | <b>474</b>    | <b>938</b> |

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                   | კონსოლიდირებული |              | ინდივიდუალური |              |
|-----------------------------------|-----------------|--------------|---------------|--------------|
|                                   | 31-12-17        | 31-12-16     | 31-12-17      | 31-12-16     |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება    | 3,561           | 5,317        | 3,528         | 5,311        |
| გაცემული ავანსები                 | 4,378           | 1,735        | 4,378         | 1,735        |
| წინასწარ გაწეული ხარჯები          | 337             | 77           | 337           | 77           |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები   | 69              | -            | 47            | -            |
| გაუფასურების რეზერვი              | -               | (423)        | -             | (422)        |
| <b>სულ დებიტორული დავალიანება</b> | <b>8,345</b>    | <b>6,706</b> | <b>8,290</b>  | <b>6,701</b> |

შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

|                                        | კონსოლიდირებული |              | ინდივიდუალური |              |
|----------------------------------------|-----------------|--------------|---------------|--------------|
|                                        | 31-12-17        | 31-12-16     | 31-12-17      | 31-12-16     |
| ნაღდი ფული                             | 521             | 637          | 521           | 637          |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში           | 4,176           | 4,401        | 4,169         | 4,391        |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში            | 2,671           | 4,451        | 2,671         | 4,451        |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>7,368</b>    | <b>9,489</b> | <b>7,361</b>  | <b>9,479</b> |

შენიშვნა 8. რესტრუქტურული ზირებული ვალდებულებები

|                                    | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|------------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                    | 31-12-17        | 31-12-16      | 31-12-17      | 31-12-16      |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები:</b> |                 |               |               |               |
| შპს „დაო ინვესტმენტს“              | 10,106          | 2,879         | 10,106        | 2,879         |
| სხვა                               | <u>1,471</u>    | <u>2,699</u>  | <u>1,471</u>  | <u>2,699</u>  |
|                                    | <b>11,577</b>   | <b>5,578</b>  | <b>11,577</b> | <b>5,578</b>  |
| <b>მიმდინარე ნაწილი:</b>           |                 |               |               |               |
| შპს „დაო ინვესტმენტს“              | 5,558           | 13,222        | 5,558         | 13,222        |
| სხვა                               | <u>584</u>      | <u>1,080</u>  | <u>584</u>    | <u>1,080</u>  |
|                                    | <b>6,142</b>    | <b>14,302</b> | <b>6,142</b>  | <b>14,302</b> |
| <b>სულ</b>                         | <b>17,719</b>   | <b>19,880</b> | <b>17,719</b> | <b>19,880</b> |

2017 წლის დეკემბერში სასამართლოს გადაწყვეტილებით რეზილიტაციის პროცესი გაგრძელდა 2022 წლამდე, შესაბამისად შეიცვალა დადგენილი გადახდის გრაფიკები, რამაც გამოიწვია 2016 წლის ბოლოს არსებული მიმდინარე სახდელის ძირითადი ნაწილის რეკლასიფიკაცია გრძელვადიანად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**შენიშვნა 9. საბანკო სესხები**

|                            | კონსოლიდირებული |              | ინდივიდუალური |              |
|----------------------------|-----------------|--------------|---------------|--------------|
|                            | 31-12-17        | 31-12-16     | 31-12-17      | 31-12-16     |
| მიმდინარე სახდელები        | 846             | 2,794        | 846           | 2,794        |
| გრძელვადიანი სესხები       | -               | 708          | -             | 708          |
| <b>სულ საბანკო სესხები</b> | <b>846</b>      | <b>3,502</b> | <b>846</b>    | <b>3,502</b> |

საბანკო სესხები ძირითადად მოციავეს მოკლევადიან სესხებს, რომლებიც განკუთვნილია სამუშაო კაპიტალის დაფინანსებისთვის და წლიური საპროცენტო განაკვეთია 10-დან 15 პროცენტამდე.

**შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

|                                    | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|------------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                    | 31-12-17        | 31-12-16      | 31-12-17      | 31-12-16      |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება    | 38,588          | 32,780        | 38,664        | 32,908        |
| გადასახდელი მოგების გადასახადი     | -               | 805           | -             | 805           |
| სხვა გადასახდელი გადასახადები      | 2,578           | 1,656         | 2,578         | 1,656         |
| სხვა გადასახდელი აქციონერებისთვის  | 1,497           | 1,529         | 1,497         | 1,529         |
| სხვა კრედიტორული დავალიანება       | 876             | 679           | 876           | 679           |
| <b>სულ კრედიტორული დავალიანება</b> | <b>43,539</b>   | <b>37,449</b> | <b>43,615</b> | <b>37,577</b> |

**შენიშვნა 11. შემოსავალი**

|                                    | კონსოლიდირებული |                | ინდივიდუალური  |                |
|------------------------------------|-----------------|----------------|----------------|----------------|
|                                    | 2017            | 2016           | 2017           | 2016           |
| შემოსავალი რეალიზაციიდან           | 183,536         | 157,384        | 183,526        | 157,373        |
| საიჯარო შემოსავალი                 | 283             | 242            | 283            | 242            |
| მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი | 921             | 424            | 921            | 423            |
| <b>სულ შემოსავალი</b>              | <b>184,740</b>  | <b>158,050</b> | <b>184,730</b> | <b>158,038</b> |

**შენიშვნა 12. სავაჭრო, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

|                                  | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|----------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                  | 2017            | 2016          | 2017          | 2016          |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი        | 10,662          | 9,289         | 10,654        | 9,271         |
| იჯარის ხარჯი                     | 7,116           | 7,062         | 7,116         | 7,062         |
| გაყიდვების ხარჯები               | 3,244           | 2,966         | 3,243         | 2,966         |
| მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი   | 3,190           | 3,199         | 3,190         | 3,199         |
| საოფისე და კომუნალური ხარჯი      | 1,689           | 1,465         | 1,689         | 1,465         |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი    | 1,634           | 1,286         | 1,634         | 1,286         |
| პროფესიული მომსახურების შესყიდვა | 789             | 798           | 789           | 798           |
| ბანკის მომსახურების ხარჯი        | 576             | 611           | 576           | 611           |
| სხვა ხარჯები                     | 74              | 69            | 70            | 71            |
| <b>სულ</b>                       | <b>28,974</b>   | <b>26,745</b> | <b>28,961</b> | <b>26,729</b> |

შენიშვნა 13. ფინანსური ხარჯები, ნეტო

|                                     | კონსოლიდირებული |                | ინდივიდუალური  |                |
|-------------------------------------|-----------------|----------------|----------------|----------------|
|                                     | 2017            | 2016           | 2017           | 2016           |
| საპროცენტო შემოსავალი               | 621             | 286            | 621            | 286            |
| მოგება საკუროსო სხვაობიდან (ზარალი) | (175)           | 581            | (176)          | 581            |
| საპროცენტო ხარჯი                    | (2,229)         | (1,943)        | (2,229)        | (1,943)        |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი, ნეტო</b>    | <b>(1,783)</b>  | <b>(1,076)</b> | <b>(1,784)</b> | <b>(1,076)</b> |

შენიშვნა 14. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები

მოგება-ზარალში ასახული მოგების გადასახადი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

|                                           | კონსოლიდირებული |              | ინდივიდუალური |              |
|-------------------------------------------|-----------------|--------------|---------------|--------------|
|                                           | 2017            | 2016         | 2017          | 2016         |
| მიმდინარე გადასახადი                      | -               | 838          | -             | 838          |
| გადავადებული გადასახადის სარგებელი        | -               | 283          | -             | 283          |
| <b>სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი</b> | <b>-</b>        | <b>1,121</b> | <b>-</b>      | <b>1,121</b> |

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელის უმრავლესობა, მათ შორის კომპანია, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ანულირებულია.

შენიშვნა 15. ცვლილებები საფინანსო საკმთანმიმდევრულ წარმოშობილ ვალდებულებებში

|                                            | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|--------------------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                            | 2017            | 2016          | 2017          | 2016          |
| <b>ბალანსი 1 იანვრის მდგომარეობით</b>      | <b>3,502</b>    | <b>37,924</b> | <b>3,502</b>  | <b>37,924</b> |
| <b>ფულადი ნაკადებით მიღებული ცვლილება:</b> |                 |               |               |               |
| მიღებული სესხები                           | 14,667          | 34,155        | 14,667        | 34,155        |
| სესხების დაფარვა                           | (16,888)        | (68,499)      | (16,888)      | (68,499)      |
| <b>არაფულადი ცვლილება:</b>                 | <b>(435)</b>    | <b>(78)</b>   | <b>(435)</b>  | <b>(78)</b>   |
| <b>ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>   | <b>846</b>      | <b>3,502</b>  | <b>846</b>    | <b>3,502</b>  |

შენიშვნა 16. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

**საკრედიტო რისკი.** ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

|                                              | კონსოლიდირებული |               | ინდივიდუალური |               |
|----------------------------------------------|-----------------|---------------|---------------|---------------|
|                                              | 31-12-17        | 31-12-16      | 31-12-17      | 31-12-16      |
| <b>დებიტორული დავალიანება</b>                |                 |               |               |               |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება               | 3,561           | 5,317         | 3,528         | 5,311         |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</b> |                 |               |               |               |
| საბანკო ნაშთები                              | 6,847           | 8,852         | 6,840         | 8,842         |
| <b>საკრედიტო რისკის მაქსიმუმი</b>            | <b>10,408</b>   | <b>14,169</b> | <b>10,368</b> | <b>14,153</b> |

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობასა და წარსულში არსებულ ნაშთებს.

**საბაზრო რისკი.** ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

|            | 31-12-17                        |                                      |                              | 31-12-16                        |                                      |                              |
|------------|---------------------------------|--------------------------------------|------------------------------|---------------------------------|--------------------------------------|------------------------------|
|            | ფულადი<br>ფინანსური<br>აქტივები | ფულადი<br>ფინანსური<br>ვალდებულებები | ნეტო<br>საბალანსო<br>პოზიცია | ფულადი<br>ფინანსური<br>აქტივები | ფულადი<br>ფინანსური<br>ვალდებულებები | ნეტო<br>საბალანსო<br>პოზიცია |
| ლარი       | 8,258                           | 30,075                               | (21,817)                     | 9,932                           | 45,973                               | (36,041)                     |
| აშშ დოლარი | 19,985                          | 19,264                               | 721                          | 15,918                          | 12,860                               | 3,058                        |
| ევრო       | 4,058                           | 4,018                                | 40                           | 2,311                           | 4,304                                | (1,993)                      |
| <b>სულ</b> | <b>32,301</b>                   | <b>53,357</b>                        |                              | <b>28,161</b>                   | <b>63,137</b>                        |                              |

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

|                              | 31-12-17                        |                                   | 31-12-16                        |                                   |
|------------------------------|---------------------------------|-----------------------------------|---------------------------------|-----------------------------------|
|                              | ზეგავლენა,<br>მოგება<br>ზარალზე | ზეგავლენა<br>საკუთარ<br>კაპიტალზე | ზეგავლენა,<br>მოგება<br>ზარალზე | ზეგავლენა<br>საკუთარ<br>კაპიტალზე |
| აშშ დოლარის გამყარება 10%-ით | (72)                            | -                                 | (306)                           | -                                 |
| აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით | 72                              | -                                 | 306                             | -                                 |
| ევროს გამყარება 10%-ით       | (4)                             | -                                 | 199                             | -                                 |
| ევროს დასუსტება 10%-ით       | 4                               | -                                 | (199)                           | -                                 |

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** ჯგუფი ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. ჯგუფის პროცენტო აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ჯგუფის არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია ჯგუფისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდება კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

|                             | ბანკის სესხები | სავაჭრო და სხვა<br>კრედიტორული<br>დავალიანება | რესტრუქტური<br>ზებული<br>კრედიტორული<br>დავალიანება | სულ           |
|-----------------------------|----------------|-----------------------------------------------|-----------------------------------------------------|---------------|
| <b>31/12/2017:</b>          |                |                                               |                                                     |               |
| მოთხოვნისთანავე და 6 თვემდე | 846            | 46,489                                        | 3,192                                               | 50,527        |
| 3-დან 12 თვემდე             | -              | -                                             | 4,448                                               | 4,448         |
| 12 თვიდან 2 წლამდე          | -              | -                                             | 4,000                                               | 4,000         |
| 2-დან 5 წლამდე              | -              | -                                             | 7,577                                               | 7,577         |
| <b>სულ 31.12.2017</b>       | <b>846</b>     | <b>46,489</b>                                 | <b>19,217</b>                                       | <b>66,552</b> |
| <b>31/12/2016:</b>          |                |                                               |                                                     |               |
| მოთხოვნისთანავე და 6 თვემდე | 2,794          | 40,399                                        | 11,352                                              | 54,545        |
| 3-დან 12 თვემდე             | 708            | -                                             | 4,950                                               | 5,658         |
| 12 თვიდან 2 წლამდე          | -              | -                                             | 628                                                 | 628           |
| <b>სულ 31.12.2016</b>       | <b>3,502</b>   | <b>40,399</b>                                 | <b>16,930</b>                                       | <b>60,831</b> |

**კაპიტალის მართვა.** ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

#### შენიშვნა 17. **ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით**

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, **ფინანსური აქტივები:** აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით "FVTPL"). რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 2017 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით: | სესხები და<br>დებიტორული<br>დავალიანება | გასაყიდად<br>არსებული<br>აქტივ-ები | ვაჭრობისთვის<br>გამიზნული<br>აქტივები | აქტივები,<br>რომელიც<br>განსაზღვრულია<br>FVTPL -ის<br>მიხედვით |
|-----------------------------------------|-----------------------------------------|------------------------------------|---------------------------------------|----------------------------------------------------------------|
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები:</b>     |                                         |                                    |                                       |                                                                |
| - ნაღდი ფული                            | 521                                     | -                                  | -                                     | -                                                              |
| - საბანკო ნაშთები                       | 6,847                                   | -                                  | -                                     | -                                                              |
| <b>დებიტორული დავალიანებები:</b>        |                                         |                                    |                                       |                                                                |
| -სავაჭრო დებიტორული დავალიანება         | 3,561                                   | -                                  | -                                     | -                                                              |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>10,929</b>                           | -                                  | -                                     | -                                                              |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 2016 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით: | სესხები და<br>დებიტორული<br>დავალიანება | გასაყიდად<br>არსებული<br>აქტივ-ები | ვაჭრობისთვის<br>გამიზნული<br>აქტივები | აქტივები,<br>რომელიც<br>განსაზღვრულია<br>FVTPL -ის<br>მიხედვით |
|-----------------------------------------|-----------------------------------------|------------------------------------|---------------------------------------|----------------------------------------------------------------|
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები:</b>     |                                         |                                    |                                       |                                                                |
| - ნაღდი ფული                            | 637                                     | -                                  | -                                     | -                                                              |
| - საბანკო ნაშთები                       | 8,852                                   | -                                  | -                                     | -                                                              |
| <b>დებიტორული დავალიანებები:</b>        |                                         |                                    |                                       |                                                                |
| -სავაჭრო დებიტორული დავალიანება         | 5,317                                   | -                                  | -                                     | -                                                              |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>14,806</b>                           | -                                  | -                                     | -                                                              |

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

#### შენიშვნა 18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიყვანოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

#### შენიშვნა 19. დაკავშირებული მხარეები

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

| ა) საქონლისა და მომსახურების შესყიდვა დაკავშირებული მხარეებისგან: | 31.12.2017-ით<br>დასრულებული<br>წლისათვის | 31.12.2016-ით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|-------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|-------------------------------------------|
| საქონლის შესყიდვა მშობელი კომპანიისგან                            | -                                         | 331                                       |
| მომსახურების შესყიდვა მშობელი კომპანიისგან                        | 442                                       | 462                                       |
| <b>სულ</b>                                                        | <b>442</b>                                | <b>793</b>                                |

| (ბ) ხელმძღვანელობის ანაზღაურება                                  | 31.12.2017-ით<br>დასრულებული<br>წლისათვის | 31.12.2016-ით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|-------------------------------------------|
| შრომის ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა მოკლევადიანი სარგებელი | 1,553                                     | 1,257                                     |
| <b>სულ</b>                                                       | <b>1,553</b>                              | <b>1,257</b>                              |

| (გ) ნაშთები წლის ბოლოს:                                   | 31-12-17     | 31-12-16   |
|-----------------------------------------------------------|--------------|------------|
| დავალიანება მშობელი კომპანიისადმი - საქონლის შესყიდვა     | 561          | 573        |
| დავალიანება მშობელი კომპანიისადმი - მომსახურების შესყიდვა | 467          | 357        |
| <b>Total</b>                                              | <b>1,028</b> | <b>930</b> |

| (დ) სხვა ნაშთები:                 | 31-12-17     | 31-12-16     |
|-----------------------------------|--------------|--------------|
| დავალიანება მშობელი კომპანიისადმი | 1,497        | 1,529        |
| <b>სულ</b>                        | <b>1,497</b> | <b>1,529</b> |

#### შენიშვნა 20. განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები

**სამართლებრივი პროცედურები.** პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამისი უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

**საგადასახადო დავა.** 2013-2014 წლებში შემოსავლების სამსახურმა 2007 – 2014 სამეურნეო წლების საგადასახადო აუდიტის შედეგად კომპანიას დააკისრა დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები 8,867 ლარის ოდენობით. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შემოსავლების სამსახურის ამ გადაწყვეტილებების გასაჩივრების შედეგად თანხე შემცირდა 2,950 ლარამდე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ წარმატებით შეძლებს ამ დარჩენილი თანხის გასაჩივრებას. გარდა ამისა, კომპანიას, რეაბილიტაციის მმართველსა და შპს დაო ინვესტმენტს (რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული უზრუნველყოფილი და ყველაზე დიდი კრედიტორი, იხ. შენიშვნა 8) შორის არსებული შემთანხმებით, ეს უკანასკნელი, მისდამი არსებული რესტრუქტურირებული დავალიანების ფარგლებში იღებს ვალდებულებას მისი კუთვნილი რესტრუქტურირებული დავალიანებიდან გამოუქვითოს კომპანიას ის ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს აღნიშნული დავის შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში. აღწერილ გარემოებათა გათვალისწინებით, როგორც შენიშვნა 2.23-ია განმარტებული, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს საგადასახადო დავა წარმოადგენს პირობით ვალდებულებას და ამრიგად, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ არის აღიარებული.

#### შენიშვნა 21. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

**მეკავშირე საწარმოებში წილების გასხვისება.** 2018 წლის აპრილსა და მაისში კომპანიამ სრულად გაასხვისა მეკავშირე საწარმოებში მისი კონტროლის ქვეშ მყოფი წილები.

#### შენიშვნა 22. დამატებითი ინფორმაცია

წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯმა შეადგინა 59 ლარი.

#### **About Baker Tilly**

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



#### **Contact us**

Baker Tilly Georgia LLC  
BC Menteshvili Rows  
Tbilisi 0105, Georgia  
7 Bambis Rigi Street  
office@bakertilly.ge  
T: +995 032 2 483 999  
[www.bakertilly.ge](http://www.bakertilly.ge)